ასოციაცია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები თბილისი რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის: თბილისი - ფონიჭალა და ფონიჭალა - რუსთავის მონაკვეთის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

5 მარტი, 2012 წ.

პროექტის აღწერა

პროექტის განმახორციელებელს წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. პროექტი გულისხმობს თბილისი რუსთავის ჩქაროსნული გზის მოდერნიზაციას. პროექტი დაყოფილია 3 ქვეპროექტად: პირველი ქვეპროექტი ითვალისწინებს თბილისსა (გულუას ხიდი) და ფონიჭალას დასახლებას (ქვემო ფონიჭალა) შორის არსებული მონაკვეთის მოდერნიზაციას და ამ მონაკვეთზე არსებული 2 ზოლიანი საავტომობილო გზის გაფართოებას 6 ზოლიანად. მოცემული ქვე მონაკვეთის სიგანეა 3.9 კმ. მეორე ქვეპროექტი უშუალოდ ფონიჭალის დასახლებას ეხება და ამჟამად დამუშავების პროცესშია. მესამე ქვეპროექტი კი ითვალისწინებს ფონიჭალა-რუსთავის 2 ზოლიანი საავტომობილო გზის გაფართოებას 4 ზოლიანად.

ორივე პირველი და მესამე ქვეპროექტის ფარგლებში საავტომობილო გზის მიწის ვაკისის სიგანედ აღებულია 28.5მ. ხოლო, სავალი ნაწილის სიგანედ თითოეულ მხარეს 10.5 მ.

პროექტი დასაფინანსებლად წარედგინა აზიის განვითარების ბანკს.

საზოგადოებრივი განხილვა

პირველი და მესამე ქვეპროექტების საჯარო განხილვა ჩატარდა 2012 წლის 1 მარტს. ჩვენი აზრით, 2012 წლის 1 მარტს ჩატარებული საჯარო განხილვა არანაირად არ შესაბამება საჯარო შეხვედრის ჩატარების არცერთ სტანდარტს. შეხვედრის მონაწილეებმა ვერ მიიღეს პასუხი, ფაქტიურად, ვერცერთ მათთვის საინტერესო კითხვაზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გზშ დოკუმენტის საჯარო განხილვაზე არ იმყოფებოდნენ პროექტის განმახორციელებლები, რომლებიც შეძლებდნენ კონკრეტული და დამასაბუთებელი პასუხების გაცემას განხილვის დროს დასმულ შეკითხვებზე. პროექტის წარმომდგენლების მხრიდან აღინიშნა, რომ მათ თავად არ მოუმზადებიათ დოკუმენტი და შესაბამისად ვერ უპასუხებდნენ ჩვენს მიერ

დასმულ შეკითხვებს. ნათელია, რომ ჩატარებული გზშ საჯარო განხილვა ატარებდა ფორმალურ ხასიათს და არ შეესაბამება არც საქართველოს კანონმდებლობას და არც აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკას.

რაც შეეხება საზოგადოების ჩართულობას დოკუმენტის საჯარო განხილვის პროცესში, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ განხილვას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი არცერთი მაცხოვრებელი არ დასწრებია. ეს კი მიუთითებს მასზედ, რომ მოსახლეობას არ მიეწოდა ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომი და გასაგები ფორმით. რაც აზიის განვითრების ბაკის პოლიტიკის დარღვევაა. პოლიტიკის თანახმად დაზარალებული მოსახლეობის ჩართვა უნდა მოხდეს პროექტის ყველა ეტაპზე და პროექტის განმახორციელებელმა უნდა მოახდინოს ინფორმაციის დროული და გასაგები ფორმით მიწოდება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის.

პროექტის საჭიროება

პროექტის შესავალში წარმოდგენილია გარკვეული ინფორმაცია პროექტის საჭიროების შესახებ, თუმცა არგუმეტირებული მონაცემების გარეშე. არ არის საკმარისი მონაცემებით მოცემული ინფორმაცია მასზედ, ჩატარდა თუ არა კვლევა, რომელიც უფრო კონკრეტულად დაასაბუთებდა მსგავსი პროექტის განხორციელების საჭიროებას.

გზშ დოკუმენტის 1.1 პარაგრაფში ნათქვამია " საავტომობილო გზის გადატვირთვის გამო ხშირია საცობების წარმოქმნა, რაც მნიშვნელოვან დისკომფორტს უქმნის მგზავრებს". არ არის დასაბუთებულად წარმოდგენილი ინფორმაცია მასზედ, თუ რამდენად ხშირია მსგავსი საცობების წარმოქმნა თბილისი რუსთავის საავტმობილო გზის მონაკვეთზე.

ასევე გზშ დოკუმენტში არ არის არგუმენტები, რომელიც დაასაბუთებდა თუ რა საჭიროა 2 ზოლიანი საავტომობილო გზის გადაკეთება 6 ზოლად და არა ვთქვათ 4 ზოლად. შესაბამისად რთულია ვიმსჯელოთ პროექტის საჭიროებაზე და მის ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე.

ალტერნატივების ანალიზი

არცერთი წარმოდგენილი ქვეპროექტის დოკუმენტში საერთოდ არ არის განხილული ალტერნატივები თავად გაფართოების ფარგლებში, ანუ გზის მარჯვნივ, მარცხნივ ან ორივე მხარეს გაგანიერების ვარიანტები და ამ ვარიანტებთან დაკავშირებული ზემოქმედებები. რაც მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მსგავსი გზის მშენებლობის დროს. ბანკის

პოლიტიკის მოთხოვნის შესაბამისად ალტერნატივების განხილვაც გზშ შემადგენელი ნაწილია, ამიტომ მისი განუხილველობა აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკის კიდევ ერთი დარღვევაა.

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებულ საკითხთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე გზშ წარმომადგენლების პასუხი იყო ზოგადი და არგუმენტების გარეშე. ალტერნატიული ვარიანტების განუხილველობა გზშ დოკუმენში მეტად მნიშვნელოვან ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომ აუცილებელია ამ საკითხისათვის მეტი ყურადღების დათმობა, საფუძვლიანი კვლევის ჩატარება და მისი გზშ დოკუმენტში წარმოდგენა.

განსახლების სამოქმედო გეგმა

საპროექტო დოკუმენტის თანახმად, ორივე პირველი და მესამე ქვეპროექტი „აზიის განვითარების ბანკის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულების (ADB SPS 2009) შესაბამისად, განეკუთვნება A კატეგორიას განსახლების კომპონენტით და საჭიროებს სრულმასშტაბიანი განსახლების სამოქმედო გეგმის (LARP) მომზადებას“.

თუმცა ყურადსაღებია, რომ პროექტის განმახორციელებელს საჯარო განხილვისათვის განსახლების სამოქმედო გეგმა არ წარმოუდგენია და შესაბამისად უამრავი კითხვა კომპენსაციასთან და მსგავს საკითხებთან დაკავშირებით პასუხგაუცემელი დარჩა.

ორივე ქვეპროექტის გზშ დოკუმენტის 5.3 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ: „დაზარალებული პირები, რომელთაც არ აქვთ მიწის დაკანონებისათვის იურიდიული საფუძველი არ მიიღებენ კომპენსაციას სასოფლო-სამეურნეო მიწებისათვის“ აგრეთვე „ისინი ვინც მიწას არალეგალურად მოიხმარენ არ მიიღებენ კომპენსაციას მიწის კარგვისათვის“. მოცემული წინადადებები აბსოლუტურად ეწინააღმდეგება აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკას. პოლიტიკის თანახმად, ყველა დაზარალებული პირი მიიღებს კომპენსაციას მიწასა და ქონებაზე განურჩევლად იმისა აქვთ თუ არა მათ მიწაზე და ქონებაზე კანონიერი უფლება. გარდა ამისა, პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს ქონების სრული ანაზღაურება დაზარალებული პირებისათვის, აგრეთვე საცხოვრებელი დონის შენარჩუნება ან გაუმჯობესება.

პროექტის საჯარო განხილვაზე გზშ წარმომდგენმა პირებმა განაცხადეს, რომ ზემოთ წარმოდგენილი პუნქტები შეცდომითაა გზშ დოკუმენტის 5.3 პარაგრაფში წარმოდგენილი. ასევე აღნიშნეს, რომ განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდება მომავალში და ცალკე ჩატარდება დოკუმენტის საჯარო განხილვა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკის დარღვევაზე. რადგანაც, აზიის განვითარების ბანკის

უსაფრთხო პოლიტიკის მიხედვით, გზშ დოკუმენტშივე განხილულ უნდა იქნას განსახლების სამოქმედო გეგმაც.

აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკის თანახმად, პროექტის განმახორციელებელმა უნდა მოამზადოს გადასახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც გზშ-თან ერთად მოიცავს გადასახლების გეგმას, დაზარალებული მოსახლეობის ინფორმირებას მათი უფლებებსა და პირობების შესახებ.

ნარჩენების მართვა

საპროექტო დოკუმენტის თანახმად, სამშენებლო ნაჩენების განთავსება მოხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ამჟამად არსებული ნაგავსაყრელები ვერ აკმაყოფილებენ გარემოსდაცვით სტანდარტებს, აუცილებელია შესწავლილ იქნეს სამშენებლო ნარჩენების ზეგავლენა მათი განთავსების ადგილებზე. თანაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ გზშ დოკუმენტში დასახელებული არ არის კონკრეტულად თუ რომელ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე მოხდება ნარჩენების განთავსება.

ასევე გზშ დოკუმენტის 8.1.1.3 მიხედვით „საშიში ნარჩენების მცირე ოდენობა შეიძლება განთავსდეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე“. საჭიროა ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და დეტალური გაწერა.

რაც შეეხება ინერტული სამშენებლო ნარჩენების მართვას, გზშ დოკუმენტის 8.1.1.3 პარაგრაფში ნათქვამია, რომ “ინერტული სამშენებლო ნარჩენები (ნაყარი გრუნტი) გატანილ იქნას იაღლუჯას მუნიციპალლურ ნაგავსაყრელზე და გამოყენებულ იქნას მისი გადახურვის და კონსერვაციის მიზნით“. თუმცა, ყურადსაღებია, რომ ჯერ არც ეს საკითხი არის გადაწყვეტილი და გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული.

საჩივრების მექანიზმი

აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხო პოლიტიკის მიხედვით გზშ დოკუმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საჩივრების მექანიზმის წარმოდგენა. მეტად მნიშვნელოვანია ამ საკითხის შესახებ არსებული ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით კი საზოგადოების იმ ნაწილისათვის, ვისზეც პროექტი ახდენს მძიმე სოციალურ ზემოქმედებას. თუმცა ყურადსაღებია, რომ არცერთ წარმოდგენილ ქვეპროექტში არ არის წარმოდგენილი საჩივრების მექანიზმი და არ არის განხილული მასთან

დაკავშირეული საკითხები. შესაბამისად ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ მიუთითებს აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკის დარღვევაზე.